



ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№97

12 ივლისი, 2013 წელი
ქ. ქუთაისი

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში
საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფის ღონისძიებების შესახებ

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის, მოსამართლეების, სასამართლოში მოსული პირების, ასევე სასამართლო სხდომების უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და მართლმასჯულების შეფერხებლად განხორციელების მიზნით, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში დაუშვებელია:

- ა) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის (ან სხვა სურათიანი დოკუმენტის) გარეშე სასამართლო შენობაში გარეშე პირთა შესვლა;
- ბ) სასამართლოს სპეციალური საშვის გარეშე ნებისმიერი (გარდა ბადრაგირების სამსახურის) ავტოსატრანსპორტო საშუალების სასამართლოს ტერიტორიაზე შესვლა;
- გ) სასამართლოში (სასამართლო სხდომის დარბაზში) ნებისმიერი პირის (გარდა ბადრაგირების სამსახურის თანამშრომლისა) იარაღით შესვლა;
- დ) სასამართლო სხდომის დარბაზის შევსების შემდეგ პროცესზე დასასწრებად მოსულ პირთა სხდომის დარბაზში დაშვება;
- ე) პროცესზე დაგვიანებულ პირთა სასამართლო სხდომის დარბაზში დაშვება;
- ვ) მართლმსაჯულების განხორციელების შეფერხების თავიდან ასაცილებლად სასამართლოს ტერიტორიაზე გარეშე პირთა თავშეყრა;
- ზ) სასამართლოს ტერიტორიაზე (გარდა სპეციალურად ამისთვის გამოყოფილი ადგილისა) თამაჯოს მოწევა;
- თ) პროცესის დამთავრების შემდეგ სასამართლო სხდომის დარბაზში გარეშე პირთა ყოფნა.
- ი) შეუფერებელ ფორმაში ან მდგომარეობაში გამოცხადება.

2. სასამართლოში საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის შემთხვევაში სასამართლოს მანდატური ვალდებულია:

- ა) აღკვეთოს სასამართლოში წესრიგის დარღვევის ნებისმიერი ფაქტი. აუცილებლობის შემთხვევაში უზრუნველყოს დამრღვევი პირის დაკავება და შესაბამისი ოქმის შედგენა, მისი სასამართლოს თავმჯდომარესთან, სხდომის თავმჯდომარესთან (მოსამართლესთან) წარდგენის ან პოლიციისათვის გადაცემის მიზნით;

- ბ) საჭიროების შემთხვევაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით, გამოყენოს ფიზიკური ძალა, სპეციალური საშუალებები ან/და იარაღი, ხოლო მათი გამოყენებიდან 24 საათის განმავლობაში წერილობით შეატყობინოს ეს სასამართლოს თავმჯდომარეს.
3. სასამართლოში (სასამართლო სხდომის დარბაზში) საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და სხვა ორგანიზაციული საკითხების უზრუნველყოფის მიზნით სასამართლო მანდატური ვალდებულია:
- ა) დაიცვას სასამართლოს ადმინისტრაციული შენობა;
 - ბ) პროცესის დაწყებამდე შეამოწმოს სასამართლო სხდომის დარბაზი, უზრუნველყოს საქმეებისა და ნივთმტკიცებების გადატანა და დაცვა;
 - გ) აკრძალული საგნის სასამართლოში შეტანის აღკვეთის მიზნით, სასამართლოში შესვლამდე და შემდგომში (მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში), შეამოწმოს ყველა პირი;
 - დ) ამ ბრძანების პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში უზრუნველყოს დროებით ჩამორთმეული იარაღის შენახვა და დაცვა, ხოლო სასამართლოდან გასვლისას მფლობელისათვის მისი უკან დაბრუნება ჩაბარების ხელწერილით;
 - ე) დროულად და სათანადოდ შეასრულოს სასამართლოს თავმჯდომარისა და სხდომის თავმჯდომარის (მოსამართლის) მითითებები.
4. სასამართლო პროცესის ფოტოგადაღება, კინო-ვიდეო და აუდიო ჩაწერა ხორციელდება „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონითა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის 2013 წლის 22 მაისის №49 ბრძანებით დადგენილი წესებით.
5. ეს ბრძანება გაეცნოს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეებს.
6. ბრძანების შესრულება დაევალოს სასამართლოს მანდატურის სამსახურს.
7. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს სასამართლოს მენეჯერს.
8. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის 2012 წლის 06 ივნისის №71-ე ბრძანება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფის ღონისძიებების შესახებ.
9. ბრძანება ძალაშია მისი ხელმოწერისთანავე.

მალხაზ გურული /ხელმოწერილი/

ასლი სწორია

6.

ნათია ლოლაძე

საკადრო და საორგანიზაციო საგითხთა

განყოფილების უფროსი

